



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახუნცეთის ხიდი

მახუნცეთის ხიდი, ქვის თაღოვანი ხიდი აჭარის არ-ში, ქედის მუნიციპალიტეტში, მდ. აჭარისწყალზე, სოფ. ზედა მახუნცეთის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება XI-XII სს. ხიდი ნაგებია კლდის ქვით კირის დუღაბზე. იგი ეყრდნობა მოვაკებულ ადგილზე სხვადასხვა სიმაღლის ბურჯებად გამოყენებულ ბუნებრივ კლდეს. ხიდის სიგრძეა (ბურჯიდან ბურჯამდე) 19,5 მ, სავალი ნაწილის სიგრძე – 28,7 მ, სიგანე ცვალებადია და მერყეობს 2-იდან 2,5 მ-მდე, თაღის სიმაღლე წყლის დონიდან – დაახლ. 6 მ. სიძველის მიუხედავად ხიდს ამჟამადაც შენარჩუნებული აქვს თავისი ფუნქცია. მ. ხ-ს 2006 მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. 2008 ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები.